თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებაზე:

   1.1 მსოფლიო ისტორია და საქართველო (1 ვაკანსია – ასოცირებული პროფესორი)

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და ასევე:

   - გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
   - სასურველია სამეცნიერო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
   - ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
   - ინგლისური ენის ცოდნა.

   2.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2023 წლის 20 აგვისტოდან – 2022 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

   4.1. ბიოგრაფია (CV);

   4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

   4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

   4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

   4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

   4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4.7. ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - https://form.jotform.com/231944082370454

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2023 წლის 24 აგვისტოდან - 2022 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2023 წლის 29 აგვისტოდან - 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge